05010101 სპორტული ცენტრის ხელშეწყობა:
2025 წლის შედეგები

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს 18 წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური, სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას, მოსწავლის ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას, ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარჩვევების გამომუშავებას (დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, პასუხისმგებლობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა)თვითკონტროლისა და ორგანიზებულობის უნარების განვითარებას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვ ასახეობაში მოასპარეზე 18 წლამდე ასაკის წარმატებული სპორტსმენების ფინანსურ წახალისებას, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ, ასევე ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის სწორად გამოყენებას.

ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა დ აევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასისს პორტსმენების მომზადებაზე. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას,

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სექციების მუშაობა სპორტის 10 სახეობის მიმართულებით: ქართული ჭიდაობა, ბ/ რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, კარატე, რაგბი, ჭადრაკი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა და ტანვარჯიში,

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება, სპორტის სახეობების მიხედვით მატერიალურ ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონერებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, სპორტული დარბაზების მოვლა-შენახვა, სპორტული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სიგელების და ჯილდოების შეძენა-დამზადება, სპორტული ინვენტარ-აღჭურვილობის შეძენა, სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა და სპორტული ღონისძიებების მოწყობის ხარჯები.

	დასახელება	2025 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარისახსრები	სულ ფაქტ.	სახელმწიფოფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარი სახსრები
05010101	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	861,4	848,9	12,5	798,9	789,6	9,3	0,93	0,93	0,74

ქვეპროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის 2025 წლის გეგმა შეადგენს 848900 ლარს, საიდანაც გახარჯულია 789 582 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება -გეგმით - 106900 ლარი, გახარჯულია - 101650 ლარი;(მათ შორის 1497 ლარი სხვა დონის ერთეული ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი)
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- გეგმით - 494120 ლარი, გახარჯულია -499399 ლარი; (მათ შორის 2147 ლარი სხვა დონის ერთეული ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი,)
- მივლინება გეგმით 23300 ლარი, გახარჯულია 21 242 ლარი
- ოფისის ხარჯი -გეგმით - 57180 ლარი, გახარჯულია - 47095 ლარი;
- რბილი ინვენტარის ხარჯი გეგმით 1500 ლარი , გახარჯულია 1464 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით- 38 500 ლარი, გახარჯულია - 38 334 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქ.და მომსახურება გეგმით -10 900 ლარი, გახარჯულია - 15725 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი გეგმით 1500 ლარი ფაქტიურად დახარჯულია 1010 ლარი
- მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული გეგმით 70000 ლარი, გახარჯულია - 58 149 ლარი;
- არაფინანსური აქტივები -გეგმით- 48000 ლარი, გახარჯულია - 5514 ლარი.(გეგმა შეუსრულებელი დარჩა ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო)

- ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობებმა 2025 წლის მანძილზე 58-ჯერ მიიღეს მოაწილეობა ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის :
- ბ/რომაული ჭიდაობამ ქვეყნის მაშტაბით მოაწყო 24 გასვლა და მოიპოვა 7 ოქროს, 15 ვერცხლის და 34 ბრინჯაოს მედალი. გუნდი იმყოფებოდასასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე ოზურგეთში 10 დღით.

- თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ჭიდაობის ფედერაციის მიერ მოწყობილ 10 ღონისძიებაში, სადაც მოიპოვა 2 ოქროს 4 ვერცხლის. 4 ბრინჯაოს მედალი.
- ქართული ჭიდაობის სპორტსმენებმა მარტის თვეში ადგილზე ჩაატარეს აფხაზეთის ომში დაღუპული ჯამბულათ ხოფერიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მოწვეული იყვნენ ქვეყნის მაშტაბით სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები, გამარჯვებულებს შევუძინეთ ჯილდოები (თასები და მედლები). ჩვენმა სპორტსმენებმა სულ მოიპოვეს 6 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.
- რაგბის გუნდის სპორტსმენებმა ქვეყნის მაშტაბით 8-ჯერ მიიღეს მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებაში, ისინი დასავლეთ საქართველოს მაშტაბით ბრინჯაოს ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. გუნდი იმყოფებოდა ერთკვირიან სასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე ქობულეთში.
- ჭადრაკის გუნდმა 2025 წელს წარმატებებით მიიღო მონაწილეობა ქვეყნის მაშტაბით გამართულ 13 ღონისძიებაში. სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა მოიპოვეს 5 ოქროს, 7 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი.
- მაგიდის ჩოგბურთის გუნდმა მონაწილეობა მიიღო 3 ღონისძიებაში და მოიპოვა 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.
- კარატეს გუნდის სპორტსმენებმა 8 შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს 8 ოქროს, 6 ვერცხლის და 21 ბრინჯაოს მედალი.
- კალათბურთის სპორტსმენებს ქონდათ 1 გასვლითი რეგიონალური ამხანაგური შეხვედრა.

სულ სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა 2025 წლის მანძილზე მოიპოვა 25 ოქროს 33 ვერცხლის და 67 ბრინჯაოს მედალი.

საკუთარი სახსრების ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის ნაშთი იყო 141 ლარი. 2025 წლის მანძილზე შემოსულია 11292 ლარი, ხოლო გახარჯულია 9279 ლარი. (360 ოფისის ხარჯი , ხოლო 8919 ლარი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ხელფასი) ნაშთი 2026 წლის 1 იანვრისათვის 2154 ლარი.

ცენტრის დირექტორი: დიტო მარშანიშვილი

შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის
ხელშეწყობის ცენტრი“
LTD Tourism and Agriculture Promotion Center

433654397 ქალაქი ლანჩხუთი, ნინოშვილის ქუჩა N37 ტელ: 568 74 41 14
tourcenter77@gmail.com

№ 5 12. 01. 2026 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე ,

წარმოგიდგენთ, შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2025 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშს.

(იხ. დანართი 4 გვ.)

პატივისცემით,

შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის
ცენტრი-ს, დირექტორი : / ეკატერინე ჩუბინაშვილი /

შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს 2025 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში:

შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამსახური აქტიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც ტურიზმის ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. შედგა ბევრი სხვადასხვა საქმიანი შეხვედრები, როგორც მდინარე ფიჩორზე საწყლოსნო ტურისტული მომსახურების განვითარების მიზნით, ასევე სხვადასხვა საქმიანი კონსულტაციები ტურიზმის ეროვნულ დეპარტამენტში და სხვა შესაბამის უწყებებში. პერიოდულად ადგილობრივი მეწარმეებისთვის ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები და სასწავლო ტრენინგები, სადაც ჩვენი სამსახური აქტიურად იყო ჩართული. ტრენინგები ეხებოდა სასტუმროების მენეჯმენტს, სურსათის უვნებლობას ტურისტული მომსახურეობის გაუმჯობესების კონტექსტში. აგრეთვე მოწვეული გვყავდა ტურიზმის ექსპერტი, რომელმაც ტურიზმის განყოფილებას ჩაუტარა სწავლება-ტრენინგი. სწავლება ეხებოდა, მუნიციპალიტეტში ტურისტული პროდუქტების დაგეგმვას, ტურისტული მარშუტების შემუშავებას, ჯგუფური და ინდივიდუალური ტურისტული პაკეტების შექმნა- გაყიდვის ტექნიკას, და ტურისტულ ობიექტებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. პერიოდულად იმართებოდა სამუშაო შეხვედრები ტურიზმის განვითარების მიზნით, ექვს მუნიციპალიტეტს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში. დაცული ტერიტორიების (კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის ფოთის ოფისში)

სამსახური აქტიურად იყო ჩართული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა ღონისძიებაში, როგორც ორგანიზაციულ ასევე, ადგილობრივი მეწარმეების პოპულარიზაციის კუთხით. (ტრადიციული „ ლელო", „ჩიბათობა" „ლანჩხუთობა").

შპს "ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრმა 2025 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენაზე - ,,ექსპრო ბათუმი", სადაც წარმოდგენილი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ლოკაციების ბანერები, ეთნოგრაფიული ნივთები და ადგილობრივი ნაწარმი. ჩატარდა შეხვედრა დისკუსიები; - შუხუთი, აცანა, მამათი, ძიმითი, აკეთის ველო მარშუტების დაგეგმილი სამუშაოების ანალიზთან დაკავშირებით.

2025 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ტურისტურ სარეკლამო კომპანია „თრეველნიუსთან", რის შედეგადაც ხდებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების და მეწარმეების პოპულარიზაცია სხვადასხვა ონლაინ პლათფორმებზე. დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან გაფორმდა მეტად მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს იმას, რომ შპს „ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრს" 10 წლის ვადით გადაეცა მართვის უფლება, რომ განვახორციელოთ ტურისტული სანაოსნო მარშრუტები კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ მდინარე ფიჩორზე პალიასტომის ტბამდე.

ქოვამზადეთ ონლაინ პლატფორმა სახელწოდებით „ chibout.ge", რომელიც ემსახურება ონლაინ ჯავშნებს და მუნიციპალიტეტში მიმდინარე ტურისტულ სიახლეებს. ტურიზმის განყოფილება აქტიურად არის ჩართული, როგორც ტურ-პაკეტების შექმნაში და განთავსებაში, ასევე, სხვადასხვა კუთხით, რათა მომხმარებლისთვის მეტად ინფორმაციული და მარტივად აღსაქმელი იყოს საიტი. საკმაოდ აქტიური და დატვირთული წელი იყო ღონისძიებებისა და საქმიანი შეხვედრების მიმართულებით. გარდა მუნიციპალურ ღონისძიებებში მონაწილეობისა, სამსახურმა 2025 წლის მანძილზე მიიღო მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობა, სადაც მეტად იყო წარმოჩენილი გურული კულინარია და გურული უნიკალური მეღვინეობის ტრადიციები. („გურია მასპინძლის როლში", გემოფესტი,). განყოფილებამ პირველად წარადგინა მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობებისა და განვითარების პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციაზე „სტანდარტები ტურიზმში". ასევე იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანი ვიზიტები, რაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით. 2025 წელს დასრულდა პროექტი „ ტყის მეგობრები"- რის ფარგლებშიც მოეწყო 5კმ-იანი საფეხმავლო ბილიკი ორაგვე-აცანის მიმართულებთ. აქტიურად ვიყავით ჩართული გურიის კურორტების კვლევებთან დაკავშირებით თემებზე - „ტურიზმის მდგრადი განვითარება გურიის რეგიონის კურორტებზე". ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალზე, ახალი საკურორტო ადგილების ჩამოყალიბებაზე, გრიგოლეთის, როგორც კურორტის შემდგომ განვითარებაზე, ასევე აცანის, ორაგვისა და წყალწმინდის კურორტის სტატუსის მინიჭების შესახებ. დამზადდა საიმიჯო კლიპი, მდინარე ფიჩორის ულამაზეს ხეობაში. აქტიურად ვართ ჩართული კოლხეთის ეროვნული პარკისა და მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების პროექტში, რომელიც ეხება „კოლხეთის ეკო-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საინვესტიციო კვლევას" .

სოფლის მეურნეობის განყოფილებამ დახმარება გაუწია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ინიცირებულ საგრანტე პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს. გარდა ამისა განყოფილება აქტიურად ეხმარებოდა მეწარმეებს, როგორც კონსულტაციების სახით ასევე სხვადასხვა მიმდინარე პროექტებსა და ბიზნეს გემგემის მომზადებაში. სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები ხშირად ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებსა, თუ სწავლებებს, რომელიც ეხებოდა გურიის რეგიონის ჩაის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ,,ადგილობრივი ეკონომკური განვითარება საქართველოში'' ფარგლებში. განყოფილება დაესწრო ლანჩხუთის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრისა და UNDP ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგს და პრაქტიკულ მეცადინეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ მოცვის პლანტაციაში. სოფლის მეურნეობის განყოფილება,

ადგილზრო სოფლის მეურნეობის სააგენტოს მიერ ინიცირებულ ტრენინგს, რომელიც ეხებოდა ბიო მეწარმეობის განვითარებას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარდა ტრენინგი, სადაც განხილული იყო ყველა პრიორიტეტული, მიმდინარე და ახალი სასოფლო სამეურნეო პროექტები და მათი მნიშვნელობა. განყოფილება მონიტორინგის ახდენდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კერძოდ სოფ. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი მშენებარე ავტო-ბანის გასწვრივ, სადაც მდებარეობს სახნავ -სათესი სავარგულები და მოსაწყობია ნაკვეთებში შესასვლელი გზები 430მ-ზე თავისი სანიაღვრე არხებით და მილ-ხიდებით. კონსულტაციები მიმდინარეობდა დაინტერესებულ ფერმერებთან პროგრამა ბიზნეს უნივერსალიში. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოვების გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებით. სამსახური კონსულტაციას უწევდა ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც მსურველი იყო ახალი თუ არსებული ბიზნეს საქმიანობის წამოწყება გაფართოების მიმართულებით.

შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 259887,33 ლარს (მ.შ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 230682 ლარი, 2025 წლის იანვრის მდგომარეობით ნაშთად დარჩენილი თანხა 29205,33ლარი),

2025 წელში შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა იყო 14 ადამიანი, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ადამიანი.

საკასო ხარჯმა შეადგინა 228640,61ლარი:

შრომის ანაზღაურება შტატით მომუშავეთა -145033,54;

შრომის ანაზღაურება შტატგარეშე მომუშავეთა - 22579,4;

მივლინების ხარჯი- 2195,45;

ოფისის ხარჯი - 13908,5;

წარმომადგენლობითი ხარჯი -5471;

ტრანსპორტის ხარჯი - 4344,72;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 10578;

რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯი -6340;

სხვა ხარჯი - 444;

არაფინანსური აქტივის შეძენის ხარჯი - 17746;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის

სამსახურის 2025 წლის ანგარიში

მიმდინარე წელს ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებული იქნა 6 (ექვსი) ერთეული ქონება კერძოდ:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ 172 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N 1 შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.15.47.696) - პრივატიზების საბოლოო ფასი 13 047,50 (ცამეტი ათას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებას სოფელ გრიგოლეთში მდებარე 148 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.41.394) - პრივატიზების საბოლოო ფასი 5 662,74 (ხუთიათას ექვსასსამოცდაორი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5000 (ხუთი ათასი) კილოგრამი მეორადი ნაგვის ურნა (რომელიც არ არის ვარგისი და წარმოადგენს შავი ლითონის ჯართი) - პრივატიზების საბოლოო ფასი 2100 (ორიათასასი) ლარი.
4. სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 2400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.47.006) განთავსებული N 1 – 459 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - პრივატიზების საბოლოო ფასი 8984,37 (რვაათასცხრაასოთხმოცდაოთხი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი.
5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილ SKODA OCTAVIA - (სახელმწიფო ნომერი FF-535-FG, გამოშვების წელი 2006 წ.) - პრივატიზების საბოლოო ფასი 1235,50 (ათასორასოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.
6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქვიანში მდებარე 3103 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.04.50.022) განთავსებული N 1 – 643,20 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - პრივატიზების საბოლოო ფასი 6885 (ექვსიათას რვაასოთხმოცდახუთი) ლარი.
7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულ შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს (ს/კ 433651461) 100 %-იან წილი.

ზემოთ აღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წელში შემოვიდა 40 062,61 (ორმოციათას სამოცდაორი ლარი და სდამოცდაერთი თეთრი).

გასული წლის 12 დეკემბერს გაიმართა აუქციონი გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 3 384 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.08.47.022) არსებული შენობა-ნაგებობა N 1 -სა (909,3 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობა N 2 (11,9 კვ.მ) რომელიც გასხვისებულ იქნა 14 186,48 (თოთხმეტიათას ასოთხმოცდაექვსი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარად, ვინაიდან წლის ბოლო იყო აუქციონში გამარჯვებულმა ზამოთ აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოიტანა 2025 წლის იანვრის დასაწყისში.

2025 წლეს გაიმართა ორი აუქციონი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებებზე:

1. სოფელ ნიგოითში მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.04.45.004) აუქციონში გამარჯვებულ პირს გადაეცა 5 (ხუთი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 302.40 (სამასორი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.
2. ქ. ლანჩხუთში მდებარე 12 250 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.48.410) აუქციონში გამარჯვებულ პირს გადაეცა 20 (ოცი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 36 015 (ოცდათექვსმეტიათას თხუთმეტი) ლარი.

ჩვენი სამსახურის მიერ მომზადდა და გაფორმდა სასყიდლიანი სარგებლობის უფლების ხელშეკრულებები:

1. სოფელ ჩოჩხათში მე-4 ქუჩა N 45-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.511 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 32,1 კვ.მ. ფართიდან ოთახი N 3-ის - 24,57,კვ.მ. მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1341,53 (ათასსამასორმოცდაერთი ლარი და ორმოცდაცამეტი) ლარით.
2. ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ.-ი. მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1844,1 (ათასრვაასორმოცდაოთხი ლარი და ათი თეთრი) ლარით.
3. სოფელ ჩოჩხათში მე-4 ქუჩა N 45-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.018 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 36,84 კვ.მ. ფართი მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1542,13 (ათასხუთასორმოცდაორი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარით.
4. სოფელ სუფსაში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 27.15.52.294.01.506 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 28.30 კვ.მ. ფართი მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1 519,5 (ათასხუთასცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით.
5. სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 23,91 კვ.მ. ფართი მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1 523,10 (ათასხუთასოცდასამი ლარი და ათი თეთრი) ლარს.
6. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებული 15,50 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი N 20 (ს/კ 27.06.51.005.01.523) მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1 643 (ათასექვსასორმოცდასამი) ლარით.
7. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებული 16,10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი N 19 (ს/კ 27.06.51.005.01.522) მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 1707 (ათასშვიდას შვიდი) ლარით.

8. ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე უძრავ ქონებას 239,17 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.06.52.141.01.500) მოსარგებლე პირს გადაეცა 2 (ორი) წლის ვადით და ქირის გადასხდელი თანხად ყოველწლიურად განისაზღვრა 13 912,5 (ცამეტიათას ცხრაასთორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)

სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2025 წლის განმავლობაში შემოვიდა 133 601,09 (ასოცდაცამეტიათასექვსასერთი ლარი და ცხრა თეთრი) ლარი.

სისტემატიურად მიმდინარეობს უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლების (სასყიდლიანი და უსასყიდლო უზუფრუქტის,) ფორმით გაცემის შესახებ წინადადებების განხილვა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება (მიღებაჩაბარების აქტები, ხელშეკრულებები):

1. „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-ს გადაეცა გარე პერიმეტრის სათვალთვალო კამერა მიკრო ჩიპით - PTZ 2mp V380.
2. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრს“ გადაეცა ნიგვზიანის საბავშო ბაღის დემონტაჟის შედეგად დარცენილი სამშენებლო მასალა.
3. შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრს“ გადაეცა საოფისე ინვენტარი.
4. სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებას გადაეცა საოფისე ინვენტარი.
5. შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრს“ გადაეცა უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N 37 მდებარე შენობა -ნაგებობის მეორე სართულზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 27.06.52.141.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართიდან ოთახი N 16 - 14,38 კვ.მ.
6. შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“-ს გადაეცა უსასყიდლოდ, სარგებლობის ფორმით, მისი არსებობის ვადით ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 17,60 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.06.51.01.103).
7. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გადეცა უსასყიდლოდ, სარგებლობის ფორმით 2 წლის ვადით, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული საოფისე ფართები ოთახი N 101-ს ს/კ 27.06.51.005.01.101 ფართით 35,8 კვ.მ. და ოთახი N 113 დან 13,6 კვ.მ. ფართი ს/კ 27.06.51.005.01.113.
8. ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ გადაეცა უსასყიდლოს, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 14,10 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.13.43.001.01.500).
9. ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ გადაეცა უსასყიდლოს, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 14,88 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.13.43.001.01.502).
10. ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ გადაეცა უსასყიდლოს, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 22,81 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.13.43.001.01.504).
11. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას“ გადაეცა უსასყიდლოდ, სარგებლობის ფორმით, მისი არსებობის ვადით სოფელ გვიმბალაურში მდებარე N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობაში არსებული შემდეგი ფართები :

პირველ სართულზე ოთახი N 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. და ოთახი N 11 – 35.00 კვ.მ.

12. ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“ გადაეცა უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებრე შენობა-ნაგებობაში მეორე სართულზე N 27.06.51.005.01/102 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 36.30 კვ.მ. ფართი.
13. პარლამენტში გურიის დელეგატის ვასილ ჩიგოგიძის N 26 ბიუროს გადაეცა უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა N 37 -ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების მესამე სართულზე არსებული 2 ოთახი საერთო ფართი 33,96 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.114).
14. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს“ სოფელ ნიგვზიანში გადაეცა უძრავი ქონება საბავშვო ბაღის შენობა ს/კ 27.14.48.405.
15. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს“ სოფელ აკეთში გადაეცა უძრავი ქონება საბავშვო ბაღის შენობა ს/კ 27.03.43.386.
16. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს“ სოფელ ღრმაღელეში გადაეცა უძრავი ქონება საბავშვო ბაღის შენობა ს/კ 27.16.46.614

2025 წელს მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრიდა მიწის ნაკვეთები:

1. გრიგოლეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2028 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.53.1028)
2. ჩიბათში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1436 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.09.41.143)
3. ჩიბათში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 123 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.09.41.144)
4. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1735 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.06.56.869) სკვერი.
5. ჩიბათში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 18700 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.09.46.418)
6. მაჩხვარეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.07.41.151) მინი სატადიონი.
7. სუფსაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 190 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.47.702)
8. სოფელ ჯუნეწერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2645 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.08.47.273)
9. ქ. ლანჩხუთში საფო მგელაძის N 22 მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4733 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.06.48.899)
10. სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1647 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.55.828)
11. სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 407 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.41.688)
12. სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2005 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.55.830)
13. სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 451 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.55.831)
14. სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2016 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.55.832)

15. **სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 231 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.55.833)**
16. **სოფელ მალთაყვაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 159 კვ.მ. მიწის ფართობი (ს/კ 27.15.55.834)**

ჩვენი სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრბად აღიარებულ და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგსტრირებულ იქნა შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:

1. **ქალაქში შესასვლელი 3 სტენდი.**
2. **აგრეთვე სამი სპორტული მოედანი სოფელ აცანაში საბავაშვო ბაღის შენობის გვერდით, სოფელ ნინოშვილში სკოლის ეზოში მდებარე სპორტული მოედანი და სოფელ გვიმბალაურში ყოფილი სკოლის ეზოში მდებარე სპორტული მოედანი.**

ჩვენი სამსახურის მიერ მომზადდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატრიზებო ობიექტები გეგმა და ნუსხა“ რომელიც საკრებულობ დაამტკიცა 2025 წლის N 4 განკარგულებით და მასში 2025 წლის განმავლობაში ოთხჯერ შევიდა ცვლილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ინიციატივით 2025 წლის განმავლობაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა“ და „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცის“ მიერ ინტესიურად მიმდინარეობად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი თუ მოძრავი ქონებების შეფასება და სათანადო დასკვნების მომზადება.

2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ და ჩატარებულ 30 მდე სწავლება-ტრენინგზე.

2025 წელს ჩვენი სამსხურის მიერ მიმდინარეობდა საგაზაფხული ხვნა თესვის მონიტორინგი (დამუშავებული ფართობის მონაცემების მოპოვება).

ჩვენი სამსახურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის საკადასტრო-აზომვითი ნახაზების მომზადება, საკადასტრო წერტილების დადგენა დაზუსტება.

შპს ლანჩხუთის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში

შპს ლანჩხუთის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ევგრაფი შევარდნაძის სახელობის საფეხბურთო მოედნების /ძირითადი, სათადარიგო / და მასზე მიბმული ინფრასტრუქტურის ობიექტების მზადყოფნას სხვადასხვა საფეხბურთო მატჩების /ლანჩხუთის გურიას ასევე ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩასატარებლად

შ შ ს ლანჩხუთის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული ქონდა 237000 ლარი , ფაქტიურად ათვისებულია 232201 ლარი

მათ შორის

1, შრომის ანაზღაურება საშტატო განაკვეთის მიხედვით 4 ერთეულ მუშაკზე დამტკიცებული გეგმის შესაბამისად ათვისებულია 39840 ლარი

2 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით გათვალისწინებული 125000 ლარი ნაცვლად გაცემულია 122958 ლარი მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი შეადგენს 18 ერთეულს,

3 ოფისის ხარჯები 6000 ლარის ნაცვლად ათვისებულია 6012 ლარი , ზემოაღნიშნული თანხები დახარჯულია ელექტროენერგიაზე *1711 ლარი*

წყლის ღირებულება 1486 ლარი, გაზის ღირებულება 865 ლარი და არასაუწყებო დაცვის მომსახურეობაზე 1650 ლარი საკანგელარიო საქონლის შეძენაზე 300 ლარი

4, ტრანსპორტის ტექნიკისა და მანქანა --იარაღების რემონტისა და საწვავის ღირებულება ათვისებულია 7717 ლარი ნაცვლად 8000 ლარისა აღსანიშნავია რომ შპს გააჩნია მინდვრის გასაკრეჭი და გასაცელი ამორტიზირებული ტექნიკა, რომელიც საანგარიშო პერიოში საჭიროებდა სისტემატურ სარემონტო სამუშაოებს, ამ მიმართებით დახარჯულია საწვავი 2388 ლიტრი ღირებულებით 5957 ლარი. ხოლო ტექნიკის რემონტზე და მარაგნაწილების შეძენაზე დახარჯულია 1760 ლარი

5, საქონელი და მომსახურეობის მხრივ ათვისებულია 25147 ლარი ზემოაღნიშნული თანხები ათვისებული იქნა შემდეგი სამუშაოების შესრულებაზე

-ტექნიკის მეშვეობით ძირითად საფეხბურთო მინდვრის მოედანზე შეტანილი იქნა მომფანტველით 42 კუბ მეტრი ქვიშა , სადაც დახარჯული ინა ქვიშის ღირებულება შეადგენს 2100 ლარი

ასევე როგორც ძირითად ასევე სათადარიგო მინდვრებზე აგრო ვადების შესაბამისად შეტანილი იქნა სხვადასხვა სახის მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები თანხით 2209 ლარი

2025 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმდინარეობის პერიოდში გადახდილი იქნა სასწრაფო-სამედიოცინო ეკიპაჟის მომსახურეობის ღირებულება 4620 ლარი

ასევე ორთავე საფეხბურთო მოედანზე კალენდარული მატჩების ჩასატარებლად დახარჯული იქნა საღებავები და სხვა დამხმარე მასალები მინდრის მომზადებისათვის, რაშიც დახარჯული იქნა 1855 ლარი

შეძენილი იქნა ასევე საფეხბურთო გასახდელებისთვის /5ერთეული/ საშხაპეების, წყლის ონკანებისა და უნიტაზების რემონტისათვის სხვადასხვა მასალები თანხით 853ლარი

მთელი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში ტერიტორიის დასუფთავებისა და ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე დაიხარჯა 2169 ლარი

სეზონის განმავლობაში ჩატარებული იქნა მინდვრის წერტილოვანი სარემონტო სამუშაობი რემონტი /მინდვრის ამოჭრა და ახალი მინდვრით შეცვლა/ ღირებულებით 4500 ლარი

შეძენილი იქნა ერთი წყვილი ფეხბურთის ბადე ღირებულებით 1400 ლარი.

გაზის კალონკის დაზიანების და მისი ა ღდგენისათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა მასალები 215 ლა

შეძენილი იქნა სარეცხი მანქანა ღირებულებით 599 ლარი

შეძენილი იქნა 3 ცალი ელექტრო ტუმბო ღირებულებით 910 ლარ

შეძენილია ელ მოწყობილობა ღირებულებით 459 ლარი

ასევე შეძენილია სხვადასხვა საქონელი 2665 ლარი

6 სხვა ხარჯებიდან დახარჯულია 19822 ლარი კერძოთ არასასოფლო მიწისა და ქონების გადასახადი 19822 ლარი

7 არაფინანსური აქტივებიდან დახარჯულია 11705 ლარი

მათ შორის

მინდვრის საცელავი ტრაქტორი 8505 ლარი

გაზის კალონკა 1500 ლარი

ელ ტუმბო 1700 ლარი

შ პ ს ლანჩხუთის დირექტორი /ლ იმნაძე/

060101-საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება,ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილება.

პროგრამისფარგლებში ჩატარდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის გეგმიური აცრები 0-18 წლის ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ერთ წლამდე ბავშვების ასაკობრივი რაოდენობიდან საანგარიშო პერიოდში ჰექსა ვაქცინით აიცრა 94 ბავშვი.მოცვის %-ია 90.40.წითელა-წითურა-ყბაყურას ვაქცინის 2 დოზით 190-დან აიცრა 170 ბავშვი 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.მოცვის % -ია 89.5%.პაპილომა ვირუსის საწ.ვაქცინით 10-დან 13 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 723-დან აიცრა 58 ბავშვი. მოცვის %-ია 8.02%. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 1722 პირს,აქედან დადებითი აღმოჩნდა 2 შემთხვევა.ინფექციური დაავადებების შემთხვევები დაფიქსირდა შემდეგი:ქუნთრუშა-4, ჩუტყვავილა-23, სავარაუდო საკვებისმიერი ინტოქსიკაცია მიიღო-443 პირმა,ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია-409, ბორელიოზი-3,ლეპტოსპიროზი-4, ბრუცელოზი-1,ნოზოკომიური პნევმონია-8. ლეიშმანიოზი-3.მალარიის ელიმინაციის მიზნით სისხლის სქელი წვეთის დიაგნოსტიკა ჩაუტარდა 120 პირს.ტუბერკულოზი-3,აივ შიდსზე ტესტირება-2161,მათ შორის იავ შიდსზე ტესტირებული ორსულები-39, მწვავე ჰეპატიტი B-1, სხვა სალმონელოზი-2.მალარიის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა აღრიცხული წყალსატევების პასპორტიზაცია,კოღოს ნაჩეკები აღმოჩნდა შემდეგ წყალსატევებზე: სუფსა 0.6 ჰა,ხიდმაღალა-2.2ჰა,ღრმაღელე-1.8ჰა,გრიგოლეთი-2,7ჰა-დან 0,7ჰა-ზე,მალარიის გადამტანების წინააღმდეგ ჩატარდა პროფილაქტიკური ღონისძიებები.კერძოდ: ინსექტიციდით დამუშავდა 600000კვ.მ.ფართობი ზღვისპირა ზოლში.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა 85 საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში,საზოგადოებრივი მნიშვნელობის 11 ობიექტში.ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით მოხდა 13 საბავშვო ბაღის დეზინფექცია-დერატიზაცია მაისის თვის ჩათვლით.ივნისიდან წლის ბოლომდე 12 საბავშვო ბაღში თვეში ერთხელ მოთხოვნის შესაბამისად.

ათ. ლარი

	დასახელება	2025წლის წლიური გეგმა			2025წლის წლიური ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფოფ ონდები	საკუთარის ახსრები	გეგმას ულ	სახელმწიფ ოფონდები	საკუთარის ახსრები	გეგმას ულ	სახელმწიფ ოფონდები	საკუთარისახ სრები
060101	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	333.6	291.0	42.6	328.6	287.8	40.8	98.5	98.9	95.8

პროგრამის ფარგლებში 2025 წლის ბიუჯეტის წლიური გეგმა შეადგენს 191000ლარს,გახარჯულია 287806.2 ლარი.

- შრომის ანაზღაურება - გეგმა-200936 ლარი,გახარჯულია-200930.15ლარი;
- დანამატი გეგმა-5720 ლარი,გახარჯულია - 5720 ლარი
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება -გეგმა-38218 ლარი,გაიხარჯა-37563 ლარი;

- მივლინება -გეგმა-1715.15 ლარი,გახარჯულია-1715.15 ლარი;
- ოფისის ხარჯი - გეგმა-9400.44 ლარი,გახარჯულია-9241.84 ლარი;
- რბილი ინვენტარის,უნიფორმის შეძენის ხარჯი-გეგმა-296.8,ფაქტიური ხარჯი-296.8ლარი.
- წარმომადგენლობითი ხარჯი-გეგმა-805 ლარი,გახარჯულია-805 ლარი
- სამედიცინო ხარჯი -გეგმა-339.61 ლარი,გახარჯულია-339.61 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი -გეგმა-8376 ლარი,გახარჯულია-6002.35 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -გეგმა--6843 ლარი, გახაჯულია 6843 ლარი;
- არაფინანსური აქტივი -გეგმა -18350 ლარი, გახარჯულია 18349.3 ლარი.

საკუთარი სახსრების 2025 წლის წლიური გეგმა შეადგენს 42610 ლარს,გახარჯულია_40844.98 ლარი.

- შრომის ანაზღაურება- გეგმა-13480 ლარი,გახარჯულია-12504 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება -გეგმა-26705 ლარი,გახარჯულია-26011 ლარი;
- ოფისის ხარჯი-გეგმა- 1550 ლარი,გახარჯულია- 1550 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი-გეგმა-575 ლარი, გახარჯულია --479.98 ლარი.

2025 წლის 1 იანვრისთვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვქონდა-8847.47 ლარი, პროგრამული და საკუთარი შემოსავალი 2025 წლის მანძილზე იყო-34999.68 ლარი,გაიხარჯა-40844.98 ლარი და 01.01.2026 წლის მდგომარეობით ანგარიშზე ნაშთის სახით დარჩა-3002.17 ლარი.

ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის

მენეჯერი: ი.კეშელავა

ბუღალტერი: ლ.სარიშვილი